

**სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა უნარების განმავითარებელი
ინიციატივების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/თანადაფინანსების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტებთან, უმაღლესი განათლების ეროვნულ / რეგიონულ / საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით (საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა (Extracurricular Activities) წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას / მხარდაჭერას.

მუხლი 2. დასაფინანსებელი აქტივობების კლასიფიკაცია

კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტმა შესაძლებელია მიიღოს დაფინანსება სასწავლო, კვლევითი და/ან პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობისთვის საერთაშორისო და/ან ადგილობრივი დონეზე, კერძოდ:

ა) ადგილობრივ / საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა/მოხსენების წარდგენა;

ბ) პროფესიულ წრეებში მოხსენების ან საპოსტერო პრეზენტაციის (oral speech / poster presentation) წარდგენა;

გ) ნაშრომის მომზადება და პროფესიულ ან/და სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნება;

დ) საერთაშორისო მოდელირებებში (მათ შორის იმიტირებულ სასამართლო პროცესებში) მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა;

ე) საერთაშორისო ან/და ადგილობრივ პროფესიულ კონკურსებში მონაწილეობა.

მუხლი 3. დაფინანსების სუბიექტი

1. განაცხადის წარდგენა შეუძლია კავკასიის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) თითოეული მონაწილე პირის კუმულაციური GPA არის არანაკლებ 2.5;

ბ) თითოეულ მონაწილე პირს არ აქვს დაკისრებული რაიმე ფორმის დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. მოთხოვნილი დაფინანსება შეიძლება მოიცავდეს სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მენტორის / ტრენერის / თანმხლები პირის დასაფინანსებელ აქტივობაში მონაწილეობის ხარჯს, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალია.

მუხლი 4. განაცხადის წარდგენისა და განხილვის წესი, შეფასების კრიტერიუმები

1. სტუდენტის / სტუდენტთა ჯგუფის მიერ განაცხადი (ამ წესით დამტკიცებული დანართი) ელექტრონული ფორმით იგზავნება შესაბამის სკოლაში. სკოლის ადმინისტრაცია განაცხადის კონკურსის პირობებთან - ამ წესის მესამე მუხლთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, განაცხადს გზავნის კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის ელფოსტაზე: funding@cu.edu.ge. სტუდენტი / სტუდენტთა ჯგუფი შესაბამის სკოლაში განაცხადს წარადგენს დასაფინანსებელი აქტივობის დაწყებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე. შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია ამ წესის დანართით დამტკიცებულ ფორმას კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს უგზავნის სტუდენტის / სტუდენტთა ჯგუფის განაცხადის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში. დასაფინანსებელი აქტივობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რისი ჩამონათვალიც მოცემულია დანართში.

2. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი მიღებულ განაცხადს უგზავნის შემფასებელ კომისიას.

3. სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს სამი კვირის ვადაში ინიშნება შემფასებელი კომისიის სხდომა.

4. შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) ვიცე-პრეზიდენტი მონიტორინგისა და ადმინისტრაციულ დარგში;

ბ) ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;

გ) შესაბამისი სკოლის დეკანი;

დ) შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ შერჩეული აკადემიური პერსონალი, რომელიც კომპეტენტურია დასაფინანსებელ პროექტში ან/და დაფინანსების მაძიებლის რეკომენდატორია;

ე) ფინანსური დეპარტამენტის წარმომადგენელი;

ვ) კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი;

5. შემფასებელი კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომისია წარუდგენს პროექტს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი აცნობებს განმცხადებელს.

6. პროექტის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

ა) ადგილობრივი / საერთაშორისო სამეცნიერო / პროფესიული ღონისძიების შემთხვევაში - ღონისძიებისა და ორგანიზატორი ინსტიტუციის, ასევე წარსადგენი მოხსენების / პრეზენტაციის ხარისხი და მისი მნიშვნელობა პროექტის წარმდგენის პროფესიული განვითარებისთვის;

ბ) სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შემთხვევაში, სამეცნიერო / პროფესიული ჟურნალის რეიტინგი;

გ) უნარების განმავითარებელ ღონისძიებაში, საერთაშორისო მოდელირებაში და კონკურსებში მონაწილეობის შემთხვევაში, ამ ღონისძიების სტატუსი და პრიორიტეტულობა შესაბამისი სკოლისთვის.

7. თუ პროექტის ავტორი არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის ელფოსტაზე: funding@cu.edu.ge სააპელაციო საჩივრის გაგზავნის გზით. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი სააპელაციო საჩივარს გააცნობს სკოლის დეკანს, რომელიც დაასახელებს სააპელაციო კომისიის წევრს სკოლის აკადემიური პერსონალიდან. გარდა სკოლის ადმინისტრაციის მიერ ნომინირებული წევრისა, სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში, ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და ეცნობება პროექტის ავტორს.

8. დაფინანსების დამტკიცების შემდეგ, პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შემფასებელი კომისიის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

9. დაფინანსების დამტკიცების შემდეგ დაფინანსების მიმღებ პირთან/ჯგუფთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოხდება თანხების გაცემა/გადარიცხვა ფინანსური დეპარტამენტის მიერ.

10. ერთი პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი ბიუჯეტის ზედა ზღვარი შეადგენს 5,000 ლარს. აკადემიური წლის განმავლობაში ერთი სკოლიდან შესაძლებელია დაფინანსდეს ორი პროექტი.

11. სტუდენტების საგანანმანათლებლო პროგრამის მიღმა უნარების განმავითარებელი ინიციატივების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა, რომლის ათვისებაც წლის განმავლობაში ხდება ეტაპობრივად.

12. ამ მიმართულებით გამოყოფილი წლიური ბიუჯეტის ლიმიტის კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი, რომელიც პერიოდულად კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს აწვდის ანგარიშს თანხების გამოყენების შესახებ.

13. ზემოაღნიშნულ ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს ასახული შემდეგი ინფორმაცია:

- ა) წლის განმავლობაში კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი გეგმიური ლიმიტები;
- ბ) ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ფაქტიურ გახარჯვებზე ინფორმაცია;
- გ) კვარტლის/წლის ჭრილში გეგმიური და ფაქტიური მონაცემების დადარება;
- დ) დარჩენილი ასათვისებელი თანხების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 5. ანგარიშგება

1. დაფინანსების მიღებისა და დაგეგმილი აქტივობის დასრულებიდან 1 თვის ვადაში დაფინანსების მიმღები პირი / ჯგუფი წარადგენს შესრულებული აქტივობის პროგრამულ ანგარიშს.
2. პროგრამული ანგარიში წარედგინება შესაბამის სკოლასა და კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტს. იგი უნდა მოიცავდეს როგორც აღწერას შესრულებული აქტივობების, ასევე, მათი გავლენის შეფასებას დაფინანსების მიმღები პირის/ჯგუფის სამომავლო საქმიანობაზე, პროფესიულ თუ კვლევით უნარებზე.
3. გამარჯვებული პროექტის მონაწილესთან ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა (მაგ. ინვოისი, გადახდის ქვითარი და ა.შ.)

სტუდენტის / სტუდენტთა ჯგუფის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოსადგენი ინფორმაცია

პროექტის სახელწოდება	
ინფორმაცია პროექტის წარმდგენი სტუდენტის / ჯგუფის შესახებ: სახელი, გვარი სკოლა პროგრამა საკონტაქტო ინფორმაცია (ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი)	
პროექტის სავარაუდო დაწყების თარიღი	
პროექტის სავარაუდო დასრულების თარიღი	
უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი თანხა	
თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	

პროექტის აღწერა (მოცულობა 150-250 სიტყვა)

1. პროექტის მიზანი, ამოცანები, განხორციელების გზები;
2. პროექტის დასაბუთება და მდგრადობა - სამიზნე ჯგუფები, დაინტერესებული მხარეები;
3. პროექტის მოსალოდნელი შედეგები: განვითარების შესაძლებლობა დაფინანსების დასრულების შემდეგ;
4. დამატებითი ინფორმაცია.

პროექტის ბიუჯეტი

კავკასიის უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა (ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით), ასევე, თანადაფინანსების თანხა (არსებობის შემთხვევაში)

№	პროდუქტის / მომსახურების დასახელება	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში)	სულ
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						

დამატებითი დოკუმენტაცია

1. ადგილობრივ / საერთაშორისო სამეცნიერო / პროფესიულ ღონისძიებაში მონაწილეობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს მოწვევის წერილი და მოხსენების/პრეზენტაციის პროგრამაში ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. უნარების განმავითარებელ ღონისძიებებში, საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. საერთაშორისო ან/და ადგილობრივ პროფესიულ კონკურსებში / პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში, მოკლე ინფორმაცია კონკურსის შესახებ (ვებგვერდის ბმულის მითითებით);
4. სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში, ჟურნალისგან მიღებული თანხმობის წერილი.

სკოლის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოსადგენი ინფორმაცია

პროექტის სახელწოდება	
ინფორმაცია პროექტის წარმდგენი სტუდენტის / ჯგუფის შესახებ: სახელი, გვარი GPA დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე (არსებობის შემთხვევაში)	

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობა / პრიორიტეტულობა სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებაში (100-150 სიტყვა)